



ASOFLEX-SDM

არტ.-No. 2 03109

ელასტიური 2 კომპონენტური შემცვლები

- ელასტიური
- არ საჭიროებს გამხსნელს
- მიკვრის მაღალი მაჩვენებელი
- არ ატარებს წყალს
- უძლებს ტემპერატურის ცვლილებებს
- გამძლეა მყავებისა და ტუტეების სუსტი კონცენტრაციების მიმართ

გამოყენების არეალი:

ASOFLEX-SDM გამოიყენება მილების შემოსვლის ადგილების, ასევე იატაკის დრენაჟისა და კიდეების ჩამონაჭრების ამოსავსებად. წყალგამძლეობის შემოწმების ღონისძიებების ფარგლებში, დაფარეთ იატაკი და კედლები ASOFLEX-SDM-ით, ASOFLEX-AKB -თან ერთად.

ტექნიკური მონაცემები:

საფუძველი:	პოლიურეთანული ფისი
ფერი:	ნაცრისფერი
სიბლანტი:	ქაფჩით წასასმელი კონსისტენციის
სიმკვრივე:	1.45 გ/სმ ³
ნარევი თანაფარდობა:	6 : 1 წონის მიხედვით
შესქელების დრო:	45 წუთი. +20 °C-ზე
ზედა საფარი:	16სთ-ის შემდეგ +20 °C-ზე
სრულად შრება:	7 დღის შემდეგ +20 °C-ზე
სიმტკიცე A შორის მიხედვით:	90
გასუფთავება :	გასუფთავეთ სამუშაო იარაღები ASO-R001-ის გამოყენების დასრულებისთანავე
შეფუთვა:	1 კგ შეკვრები A და B კომპონენტები მოწოდებულია წინასწარ განსაზღვრული ნარევის პორციით
შენახვა:	12 თვე, მშრალ და გრილ პირობებში, თავდაპირველ გაუხსნელ შეფუთვაში. დაკრისტალის შემთხვევაში, გამოსწორება შესაძლებელია დაახლ. 2 საათში, წყლის აბაზანით +50 -დან +60° C-მდე. ამის შემდეგ, შეიძლება მასალის გამოყენება. შენახვა უნდა მოხდეს იმ წესების შესაბამისად, რომელიც არეგულირებს ისეთი მასალის შენახვას, რომელიც საზიანოა წყლისთვის. უფრო ხანგრძლივად შენახვის შემთხვევაში, რეაქტიულობა, შეიძლება, შესუსტდეს.

ქვენაფენი შრის მომზადება:

დასამუშავებელი ტერიტორია:

- უნდა იყოს მშრალი, მყარი, მთელი
- არ უნდა შეიცავდეს გამაცალკეებელ და მიმაგრებისთვის ხელისშემშლელ ნივთიერებებს, როგორცაა, მაგალითად: მტვერი, ცემენტის წვენი, ცხიმი, გადაწმენდის ნაკვალევი, საღებავის ნარჩენები და სხვ.
- დაცული უნდა იყოს უკანა მხრიდან ნესტის შეღწევისგან.

გამოიყენეთ შესაბამისი საშუალებები ქვენაფენის მოსამზადებლად, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, მაგალითად, გადარეცხვა, მტვერსასრუტი, დაგვა, ხეხვა-გაპირალემა და ქვიშის გაქრევა. კონკრეტული ქვენაფენის მიხედვით, მოითხოვება შემდეგი კრიტერიუმების დაცვა:

ცემენტოვანი ზედაპირები:

- ბეტონის ხარისხი: მინ. B 25
- მოჭიმვის ხარისხი: მინ. ZE 30
- საგოზავის ხარისხი: P III a/b
- დრო/ასაკი: მინ. 28 დღე
- მიმაგრების სიმყარე გაჭიმვაზე $\geq 1.5 \text{ N/mm}^2$
- ნარჩენი ტენიანობა: <4%

მოამზადეთ რკინის და ფოლადის ზედაპირები ჟანგის სათანადოდ მოცილებით, სტანდარტული სისუფთავის მაჩვენებლამდე -Sa 2.5, DIN 55 928-ის შესაბამისად.

პროდუქტის მომზადება:

კომპონენტი A (ფისი) და B (გამამყარებელი) მოწოდებულია ნარევი წინასწარ განსაზღვრული თანაფარდობით. ჩაცალეთ B კომპონენტი A კომპონენტში. ყურადღება მიაქციეთ, რომ გამამყარებელი სრულად გადმოიცალოს თავისი კონტეინერიდან. ორივე კომპონენტის შერევა ხდება შესაბამისი შემრევი მოწყობილობით. ასევე მნიშვნელოვანია გვერდებიდან და ძირიდან მორევა, გამამყარებელი რომ თანაბრად გაიხსნას. ურიეთ, ვიდრე არ მიიღებთ ერთგვაროვან ნარევს (რომელიც არ შეიცავს ზოლებს). შერევის დროს მინიმალური ტემპერატურა უნდა იყოს +15° C. შერევის პროცესში ნელ-ნელა ვიღებთ ქაფით წასასმელ კონსისტენციას.

ASOFLEX-SDM

გამოყენების/ მოხმარების მეთოდი:

დაგრუნტვა:

ASOFLEX-SDM-ის გამოყენებამდე, მოამზადეთ ქვენაფენი შრე და ისე რომ ყველა ფორი ამოივსოს, დაგრუნტეთ ზედაპირი ორი ფენა ASODUR-GBM-ით (იხილეთ ASODUR-GBM-ის ტექნიკური მონაცემები).

მოხმარება: დაახლ. 300–500 გ/მ² ერთ ფენაზე. სანამ გრუნტის მეორე ფენა ჯერ კიდევ სველია, მოახიეთ მასზე 0.2–0.7 მმ დიამეტრის კვარცხლი ქვიშა.

მოხმარება: დაახლ. 1000 ფ/მ²

კავშირები პლასტმასის (PVC ან ABS) ან უჟანგავი ფოლადის იატაკის დრენაჟებთან და წყალგამძლე გარსაკრებთან:

მოამზადეთ უჟანგავი ფოლადის, ფერადი ლითონის ან პლასტმასის (PVC ან ABS) წყალგამძლე გარსაკრები ზეთისა და საპოხის მოცილებით და აბრაზიული დამუშავებით.

შემკვრელი გრუნტი: საღებავის ფუნჯით წაუსვით INDU-Primer-N-ის ერთი ფენა და ქსოვილით თანაბრად გაანაწილეთ.

მოხმარება: დაახლ. 40–60 გ/მ²

ამოვსება:

ისე რომ სიცარიელები არ დარჩეს, ქაფით წაუსვით ASOFLEX-SDM იმ ადგილას, რომელიც უნდა ამოივსოს. პროფესიონალურად მოახიეთ ქვიშა ამ ადგილზე და გამაგრების შემდეგ, მოაცილეთ ზედმეტი ქვიშა.

ხარჯიანობა: დაახლ. 1.45 გ/სმ³.

ჯანდაცვა და უსაფრთხოება:

გამაგრების შემდეგ ASOFLEX-SDM ითვლება უვნებლად.

გამამყარებელი (კომპონენტი B) არის კოროზიული.

აღნიშნული პროდუქტის გამოყენებისას, დაცული უნდა იქნას მთავრობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის რეგულაციები, ტექნიკური მონაცემები M 044, და ასევე რეკომენდაცია შეფუთვაზე.

რეკომენდაცია:

· ცალკეულ ფენებს შორის კავშირის შეიძლება დიდად შეეშალოს ხელი ნესტით ან ფენებს შორის დაბინძურებით.

· დაიცავით ASOFLEX-SDM-ით დაუმუშავებელი ადგილები.

· ნარჩენების მართვა:

თხევადი ნარჩენები: EAK 08 01 11 საღებავის და ლაქის ნარჩენი, რომელიც შეიცავს ორგანულ გამხსნელს ან სხვა მავნე ნივთიერებას.

გამაგრებული პროდუქტის ნარჩენები: EAK 17 02 03 პლასტმასები.

გთხოვთ, დაიცვათ ევროკავშირის ამჟამად მოქმედი უსაფრთხოების ნორმები.

GISCODE: PU40